

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი

რეცენზია კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებისა და პროტოკოლების თაობაზე

გლუკომა

ნაციონალური გაიდლაინი
სრული ვერსია

და

გლუკომის მართვის
სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი)

დავალების განმარტება:

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირმა ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფთან ხელშეკრულების ფარგლებში განიხილა და მოამზადა რეცენზია გლაუკომის მართვის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და თანდართული პროტოკოლის თაობაზე.

კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო და პროტოკოლი გაიგზავნა განსახილველად თბილისსა და სხვა რეგიონებში მოქმედ საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრებში. თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს პრაქტიკოსმა ოჯახის ექიმებმა.

I. ზოგადი კომენტარები

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გლაუკომის მართვის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და პროტოკოლის შემუშავება და დანერგვა, ამ პრობლემის ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობისა და მისი მართვისთვის დაუყოვნებელი და სწორი მოქმედების მნიშვნელობის გათვალისწინებით, უდავოდ საშური საქმეა.

სახელმძღვანელო შედგენილია ქვეყნის წამყვანი სპეციალისტების მიერ და მიღებულია ორიგინალური სტატიების თარგმნისა და შედეგების შეჯერებით და ძირითადად, ეყრდნობა მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევის შედეგებს. იგი წარმოადგენს მაღალ დონეზე შესრულებულ დოკუმენტს, სადაც საკმარის ნათლად და კომპაქტურადაა მოცემული გლაუკომის განმარტება, გავრცელების ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგიური მიზეზები, კლინიკური სიმპტომატიკა, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, გამოკვლევების სქემები, მკურნალობის მეთოდები და ძირითადი გართულებები.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი გლაუკომის სპეციფიკური სიმპტომები (ფოტოფობია, ცრემლდენა, სიწითლე, ბლემაროსპაზმი, თვალბინის სრესა, ტკივილი, მხედველობის პრობლემები, სხვ.) და გამომწვევი მიზეზები (მემკვიდრეობითი და სხვა რისკ-ფაქტორები, ასოცირებული ექსტრაოკულური მდგომარეობები), შეფასების სპეციფიური მეთოდები (მხედველობის პრობლემების შეფასება ვიზომეტრია - კორექციით, თუ პაციენტი ატარებს სათვალეს. მხედველობის ორგანოს გარეგანი დათვალიერება ორბიტაში თვალის კაკლის მდებარეობისა და მოძრაობის შეფასებით, თვალის დანამატი ორგანოებისა და თვალის კაკლის დათვალიერება გვერდითი - ფოკალური განათებით, თვალშიდა წნევის გაზომვა - პალპატორულად ან ტონომეტრის საშუალებით, ოფთალმოსკოპია), დაავადების ფორმები ასაკობრივ ჭრილში, მედიკამენტოზური მკურნალობის ფარმაკოლოგიური ჯგუფების (ადრენერგული აგონისტები, ადრენერგული ანტაგონისტები, კარბოანჰიდრაზას ინჰიბიტორები, ქოლინერგული საშუალებები, პროსტაგლანდინების წარმოებულები, ოსმოტიური საშუალებები) ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებები, რაც მნიშვნელოვნად გაუიოლებს პრაქტიკოსს ექიმებს, განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვის ქსელში, რომლებისთვისაც ანამნეზი და ფიზიკალური მონაცემები კლინიკური გადაწყვეტილების მთავარი საფუძველია.

გაიდლაინი გვთავაზობს გლაუკომის მართვის კონკრეტულ სქემას, რაც ითვალისწინებს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონის შესაძლებლობებს.

გაიდლაინის სტრუქტურა

რეცენზირებული სახელმძღვანელოს სტრუქტურა შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (საბჭოს დებულება მუხლი 4, პუნქტი 14) და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

თვალსაჩინოადაა წარმოდგენილი ინფორმაცია მართვისა და მკურნალობის გზების თაობაზე, რაც გააიოლებს მის აღქმას პრაქტიკოსი ექიმების მიერ.

გაიდლაინის შინაარსი

შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად. თავმოყრილია ორიგინალური სტატიების მონაცემები და სარწმუნოების მაღალი დონის მეცნიერული მტკიცებულებები, რომელთა გაცნობა გაზრდის პრაქტიკოსი ექიმების მოტივაციას შეასრულოს მითითებული რეკომენდაციები. ხშირ შემთხვევაში მითითებულია მტკიცებულებების ხარისხი.

შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან

პჯდ ექიმებისთვის, დღეს სისტემაში არსებული რესურსის ფარგლებში, შესაძლებელია პაციენტის საწყისი შეფასება, რეფერალი სპეციალისტთან დროული დიაგნოსტიკის მიზნით და გლაუკომის სპეციფიური მკურნალობის ჩატარების შემდგომი მონიტორინგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კლინიკური რეკომენდაცია წარმოადგენს გლაუკომის მართვის ძირითად პრინციპებს, განხილულია დაავადებისა და მკურნალობის ძირითადი მეთოდები, გართულებები, თანამედროვე შეხედულებები, ამიტომ მის დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით.

პროტოკოლი

წარმოდგენილ „გლაუკომის მართვა“ სახელმწიფო სტანდარტში (პროტოკოლი), რომელიც ემყარება აღნიშნულ ნაციონალურ გაიდლაინს, მოცემულია პაციენტის შეფასების, დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული ტესტების, დაავადების მკურნალობის ეტაპები, რომელიც უნდა განხორციელდეს აღნიშნული მდგომარეობების დროს, თუმცა ნათლად არ არის განსაზღვრული ოჯახის ექიმის როლი.

II. სპეციფიკური კომენტარები

აღნიშნულია, რომ გლაუკომის მართვა ხორციელდება ამბულატორიულად ან სტაციონარის პირობებში ექიმის მიერ. სასურველი იქნებოდა, ოჯახის ექიმისათვის უფრო დეტალური რეკომენდაციების მიცემა:

- გლაუკომის მკურნალობის ვადებსა და შედეგების მონიტორინგზე - მედიკამენტოზური მკურნალობა, ლაზერული თუ ქირურგიული მკურნალობის შედეგებზე მეთვალყურეობა ესაჭიროება თუ არა პაციენტს; სად და ვინ ახორციელებს აღნიშნულ მონიტორინგს.
- მკურნალობის შემდგომი მეთვალყურეობის სპეციფიური პირობებსა და ვადებზე (მედიკამენტების გვერდით ეფექტებზე მონიტორინგი, ქირურგიული და სხვ. მკურნალობის გართულებებზე მეთვალყურეობა და სხვ.).
- გლაუკომაზე სკრინინგთან დაკავშირებით. საქართველოს პირობებში არსებობს თუ არა სკრინინგი მაგ.: მაღალი რისკის ჯგუფებში (მემკვიდრეობითი დატვირთვა, გლაუკომის ოჯახური ისტორია, დიაბეტიან პაციენტებში რეტინოპათიით, ექსტრაოკულარული ასოცირებული მდგომარეობები და სხვ.). თუკი არსებობს სად და ვინ ახორციელებს მას, არის თუ არა სკრინინგები აღნიშნულ დაავადებაზე საოჯახო მედიცინის/ზოგადი პრაქტიკის საქმიანობის ნაწილი?
- წარმოდგენილ გაიდლაინში მითითებულია, რომ პირველადი ღიაკუთხიანი გლაუკომის განვითარებაში შაქრიანი დიაბეტის როლი, როგორც ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი სადავოა, მაშინ რატომ უნდა ჩაუტარდეს ყველა პაციენტს დიაბეტური რეტინოპათიით თვალში და წნევის სკრინინგული გამოკვლევა?

რედაქციული ხასიათის შენიშვნები:

საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებამდე მიზანშეწონილია გაიდლაინის ტექსტური რედაქტირება.

დასკვნა:

რეცენზირებული სახელმძღვანელო, პირველადი ჯანდაცვის ექიმების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მნიშვნელობის გათვალისწინებით (პაციენტის საწყისი შეფასებისა, მედიკამენტოზური მკურნალობის გვერდითი მოვლენების გამოვლენისა და მასზე მეთვალყურეობის დაწესების თვალსაზრისით), დადებითად უნდა შეფასდეს.

